ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 857

25/08/2015

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №86–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2470 მ²) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.335) არსებული შენობის განმეორებითი ელექტრონული პირობიანი აუქციონით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, 119–ე მუხლის მე–10 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე–2 მუხლის „ო"–ქვეპუნქტისა და მე–13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №86–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2470 მ²) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.335) არსებული შენობა (ყოფილი ინფექციური საავადმყოფოს შენობა) პრივატიზებულ იქნეს განმეორებითი ელექტრონული პირობიანი აუქციონით.

1.2. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.2.1. შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.2.2. შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.2.3. შენობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.3. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №86–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2470 მ²) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

№34.08.50.335) არსებული შენობის განმეორებითი ელექტრონული პირობიანი აუქციონის საპრივატიზებო საწყის ფასად განისაზღვროს 2000 (ორიათასი) ლარი.

1.4. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №86–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2470 მ²) მიწის (უბრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.335) არსებული შენობის ბიჯი განისაზღვროს განმეორებითი ელექტრონული პირობიანი აუქციონის საპრივატიზებო საწყისი ფასის 10%–ს (200 (ორასი) ლარის) ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი